ლიტერა

№9, 2016



მაკა გოგუა

ანბანი

ან-ი, ბან-ი, გან-ი – მზემ ჩამიკრა თვალი;
დონ-ი, ენ-ი ვინ-ი – მოსწავლე ვარ დიდი;
ზენ-ი, თან-ი, ინ-ი – ვკითხულობ და ვითვლი;
კან-ი, ლას-ი, მან-ი – აი, თიხის თასი;
ნარ-ი, ონ-ი, პარ-ი – გვაქვს ზაფხულის დარი;
ჟან-ი, რა-ე, სან-ი – გველის მთა და ბარი;
ტარ-ი, უნ-ი, ფან-ი – ზღვა და იალქანი;
ქან-ი, ღან-ი, ყან-ი – სოფლად ძველი ბანი;
შინ-ი, ჩინ-ი, ცან-ი – მინდვრად ყვავილნარი;
ძილ-ი, წინ-ი, ჭან-ი – გარუჯული კანი;
ხან-ი, ჯარ-ი, ჰაე – რა ჩამოთვლის ამდენს!
მაგრამ, სადაც წავალთ,
თან გაგვყვება მუდამ
ანბანი და წიგნი –
უკვე კითხვა ვიცით!

დალი მაზმიშვილი

მე და „დილა“

ვფურცლავ „დილას“ – ცისარტყელა
ცას აბრწყინებს საოცარი,
დამჭიკჭიკებს ხიდან ჩიტი,
აციმციმებს ბალახს ცვარი.
ხან ბეჰემოთს დამადევნებს,
ხან ყურცქვიტას, ხან ფიფქს, ხან ქარს,
ხმატკბილ ანბანს ის მასწავლის,
ჰყვება სპილოს, დევის ამბავს.
მაცნობს ამერს, მაცნობს იმერს
ეკლესიის რეკავს ზარებს,
წინაპართა საქმეებით
მათ სიყვარულს მაზიარებს.
მის შრიალში მზე კაშკაშებს –
ფურცელ–ფურცელ მოცინარი,
„დილა“ – ჩემი სიხარული,
„დილა“ – ჩემი მეგობარი!

მხატვარი
ლაშა სულაკაური

ნათია ჯანაშია

ზარმაცების გიმნაზია



ყველა ზღაპარი ასე იწყება: „იყო და არა იყო რა“, მე კი ისეთი ამბავი მინდა გიამბოთ, რომელიც მართლა გადახდა თავს ჩემს ოთხფეხა მეგობარს. ამიტომ ასე დავიწყებ:

იყო და იყო რა.

ზაზუნა იყო ერთი, ზლაზუ. (ჩემს ზაზუნაზე გიამბობთ.) იმისთანა ზარმაცი მეორე არ მინახავს. ამიტომ ექვსი თვის რომ გახდა, ჩვეულებრივ სკოლაში კი არ წავიყვანე, სადაც კატა ტუსია დამყავდა, არამედ ზარმაცების გიმნაზიაში გავამწესე.

იქ ტუსიას სკოლასავით დილის ცხრა საათზე კი არ იწყებოდა სწავლა, არამედ შვიდის ნახევარზე. (დილით, რასაკვირველია!) ზამთრობით კი, დღე რომ იკლებს და ცივი ღამეები მეტისმეტად გრძელდება – რვის თხუთმეტ წუთზე ირეკებოდა სკოლის ზარი.

ზარს მთელი დღის მანძილზე კიდევ ბევრჯერ რეკავდნენ, თანაც ყოველ შვიდ წუთში, ოღონდ დასვენებების დაწყების და დამთავრების ნიშნად კი არა, – წიგნებზე ჩამოძინებული ზარმაცი მოსწავლეების გამოსაფხიზლებლად.

– ცუდადაა საქმე! – ამოიოხრა ერთ დღეს გიმნაზიის დირექტორმა, როცა გამოსაფხიზლებელი ზარის შემდეგ ერთ-ერთ საკლასო ოთახში შეიჭვრიტა და ჩანთაში თავშერგული ზლაზუს ხვრინვა შემოესმა.

– რაღაც უნდა ვიღონოთ, – აჩოჩქოლდნენ მასწავლებლები, – ეს ზარმაცები აქ სასწავლებლად კი არა, სიზმრების სანახავად დადიან.

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, კვირის ბოლოს საკლასო ოთახების ჭერზე ღრუბლები დაკიდეს.

– ნამდვილი ღრუბლები? – იკითხავთ, ალბათ.

– დიახაც, ნამდვილი, ციდან ციმციმ ჩამოტანილი.

– კი მაგრამ, ციდან ღრუბლების ჩამოტანა და ჭერზე დაკიდება როგორ შეიძლება? – იჭვნეულად მკითხავთ, ვიცი.

– ძალიან მშვენივრად!

მას შემდეგ ყოველ მეშვიდე ზარზე ყველა საკლასო ოთახში წვიმდა, ოღონდ ღრუბლებიდან თქეში კი არ მოდიოდა, მხოლოდ შვიდი წამით ჟინჟლავდა, სულ რაღაც შვიდი წამით, თუმცა სრულიად საკმარისი იყო, რომ ძილისგუდები სიზმრების სამეფოდან გაკვეთილზე დაებრუნებინა.

– უჰ, უჰ, სად ვიყავით აქამდე?! – უხაროდათ მასწავლებლებს, როცა გაკვეთილზე ჩამოძინებულ მოსწავლეებს ვეღარ ხედავდნენ. (და, სხვათა შორის, აღარც ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებული ქოთნის ყვავილების მორწყვა სჭირდებოდათ.)

აბა, ზლაზუსთვის გეკითხათ:

– ეს რა სიცოცხლეა, – შესჩიოდა საღამოობით ტუსიას, – ჯერ იყო და წარამარა ზარის გამყინავი ხმა მაფხიზლებდა, მერე წვიმა წამოვიდა ჭერიდან, ახლა ზღარბ ჩხუტას გვერდით გადამსვეს, ის კი ისეთი მავნებელია, ჩავთვლემ თუ არა, თავის ნემსებივით ეკლებს მიჩხუტუნებს.

ტუსიას ეცოდებოდა ზლაზუ და სიბრალულით ევსებოდა გული. დილაობით კი ცრემლიანი თვალებით უყურებდა, რა უხალისოდ ალაგებდა ზლაზუ ჩანთას და ფეხათრევით მიუყვებოდა გიმნაზიისკენ მიმავალ გზას.

ზარმაცების გიმნაზიაში, ჩვეულებრივი სკოლებისგან განსხვავებით, სწავლა ორი საათითა და ოცი წუთით გვიან მთავრდებოდა, დასვენების დღეები და არდადეგები კი არ არსებობდა, – შაბათ-კვირას, სადღესასწაულო დღეებში, ზამთარსა თუ ზაფხულში სწავლის ჩვეული რეჟიმი იყო.

საკონტროლო წერებზე ნუღარ მკითხავთ – თუ ტუსია თვეში მხოლოდ ორჯერ წერდა, ზლაზუს კვირაში შვიდჯერ ჰქონდა საკონტროლო წერის ციებ-ცხელება.

ფიზკულტურის გაკვეთილებზე კი, ტუსიასგან განსხვავებით, წელზე რგოლის ტრიალით კი არ ერთობოდა ზლაზუ, საწყალი სამ კილომეტრს გარბოდა ძუნძულით და სამოცდაშვიდ აზიდვას აკეთებდა.

– რა იქნებოდა, მეც შენსავით ყოჩაღი დავბადებულიყავი, – შესჩივლა ერთ საღამოს დაღლილ-დაქანცულმა ზლაზუმ ტუსიას, – ერთ სკოლაში ვივლიდით, დილით ერთად ვისაუზმებდით, სკოლიდანაც ერთად დავბრუნდებოდით...

– შაბათ-კვირას ერთად გავერთობოდით, – მხარი აუბა ტუსიამ, – ხან პიკნიკზე წავიდოდით, ხან კინოში, ხან თევზის ფესტივალზე.

– წიგნების პრეზენტაციებზეც ერთად ვივლიდით.

– პოეზიის შუადღეებზეც.

– ზაფხულის თბილ საღამოებს ფრანების დევნაში გავატარებდით.

– ზამთრობით მოყინულ ტბაზე ვისრიალებდით.

– ეჰ, რა ძნელია სიზარმაცე! – ამოიოხრა ზლაზუმ, თვალები მილულა და იმწამსვე ჩაეძინა.

მეორე დილით, სახლს რომ ვალაგებდი, ზლაზუს საწერ მაგიდაზე პატარა კონვერტი ვიპოვე, მასზე ჩემი სახელი ეწერა, ამიტომაც იმწამსვე გავხსენი და წერილის კითხვა დავიწყე. ზლაზუს ბატიფეხურს ათას ნაწერში გამოვარჩევდი. აი, რას მწერდა:

ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, სიზარმაცე ამ ქვეყნად ყველაზე მოსაწყენი რამაა. გადავწყვიტე, მეც ტუსიასავით ყოჩაღი გავხდე, ჩვეულებრივ სკოლაში ვიარო და ისე ვიცხოვრო, როგორც ყველა ნორმალური ბაბუნა ცხოვრობს. ასე გაგრძელება აღარ უმიძღია. მორჩა, ჩემმა ქუსიანმა სიზარმაცემ ჩვენი ჯირი წაიღო.

უენი ყოჩაღი ბლაზუ.

რას ვიზამდი? სახლის დალაგებას ვინღა ჩიოდა? ფაცხაფუცხით გავექანე და ზლაზუს საბუთები ზარმაცების გიმნაზიიდან ტუსიას სკოლაში გადმოვიტანე.

ადგებიან ახლა ორივენი დილით, ისაუზმებენ და კუდებგადაბმულები ხალისით მიუყვებიან სკოლის გზას.

ასე არ ჯობია?!

მხატვარი
ანნა კანდელაკი

ზოია ვაშაკიძე

დედა ღორი

ერთი, ორი, ერთი, ორი!
დათვლას სწავლობს დედა ღორი.
მსუქანია, ძლივს, ძლივს დადის...
დასდევს შვილი მრავალი...
ანგარიშის ცოდნა ახლა
არის მისთვის მთავარი:
    რამდენი ჰყავს შვილი,
    რამდენი აქვს ძუძუ –
    აწვალებს ფიქრები
    უსწავლელს და უძლურს.
    როცა მიდის ტყეში
    საძებნელად რკოსი.
    კვლავ სჭირდება ნიჭი
    მათემატიკოსის.

– ღორს ჰყავს ათი გოჭი.
რკო სურს ათი თითოს.
სულ რამდენი რკო სჭირდება?
იქნებ, თქვენ იფიქროთ.

მანანა ქურდაძე

მზრუნველი ნუცა

დღეს პირველად მიჰყავთ ნუცა
დილით ადრე სკოლაში,
ჩაალაგა რვეულები,
ჩანთა ზურგზე მოიგდო,
მერე ბებოს მიუბრუნდა,
დედის როლი მოირგო:
– ახლა, ბებო, შენ გაბარებ
ჩემს თოჯინას, ბარბარეს,
რომ ადგება, ასაუზმე
და კარგად აბანავე,
არ გაცივდეს, ჩამიფუთნე,
ისევ ცუდად ახველებს,
თუ მოვიდნენ მეგობრები,
უმასპინძლე მნახველებს.
მეტი რაღა დაგიბარო,
ბებო, უკვე დიდი ხარ,
ჩათვალე, რომ ძიძა ხარ და
სამსახურში მიდიხარ.

მხატვარი
ლიკა გურგენიშვილი

ვასილ გულეური

ჰოგორ დაკარგა ნაკადულმა თავი

პატარა ნაკადული მთაში დაიბადა. დიდ-ხანს იყო მიწის ქვეშ ჩაძინებული. ერთ დღესაც გამოიღვიძა და ადგილი ეპატარავა. შეიშმუშნა, მხრები შეისწორა და ამოძრავდა. ხან მარჯვნივ გაიწია, ხან მარცხნივ, სივრცე ცოტა მოათავისუფლა და გასასვლელს დაუწყო ძებნა. ნელ-ნელა გაძვრა მიწის ბელტებს შორის, თანდათან მაღლა მიიწევდა და, როცა ერთ ადგილას სინათლის სხივი გამოჩნდა, მიხვდა, მიზანთან ახლოს იყო. ძალა მოიკრიბა, მიწიდან ჯერ წვეთებად ამოჟონა, მერე თანდათან იმატა და ბოლოს მთელი ძალით ამოხეთქა.

თავქვე მონახა და ვიწრო ხეობაში დაეშვა. თანდათან გახალისდა, მხიარულად ალიკლიკდა.

– სად ვიყავი ამდენ ხანს, იმ სიბნელეში როგორ მეძინა, – ხმამაღლა ფიქრობდა ნაკადული. – აქ რა კარგია, სინათლე და სითბოა, ირგვლივ სიმწვანეა და საოცარი ხმები ისმის, – გზად მიმავალმა ყური მიუგდო ჩიტების ჭიკჭიკს, ნიავის ქროლას და ფოთლების შარიშურს.

– შეხედეთ, შეხედეთ, რა კარგი ნაკადულია! – მოესმა ხმა და მის ნაპირთან პატარა ბოლოქანქარა ჩიტი დასკუპდა. ნისკარტით ორი ყლუპი მოსვა და ნაპირებზე ხტუნვა დაიწყო.

ნაკადულს ახლა ყვავილებმა გადმოხედეს და სიხარულით გაიღიმეს.

– ოჰ, რა კარგია, როგორ გვწყუროდა! – მერე თავი დახარეს და მწვანე ფოთლებით პირი გადაინამეს.

მზის სხივები წყალში აირეკლა, ნაკადულს შეერია და ათასფრად გაიბნა. ახლა ის ციმციმით მოჩქეფდა და თანდათან ძალაც ემატებოდა.

– რა კარგია, რომ გამოვიღვიძე! ხედავ, რამდენი მელოდებოდა, თურმე რამდენს ვჭირდები!

ნაკადული სიამაყით აივსო და უფრო ძლიერ ალიკლიკდა.

საღამო ხანს ცაზე შავი ღრუბლები გამოჩნდა. თანდათან ჩამობნელდა, მერე რამდენჯერმე ძლიერად დაიქუხა და უცებ შხაპუნა წვიმა წამოვიდა.

ნაკადულმა იგრძნო, რომ ძალა ემატებოდა. წვიმის წყალმა მისი სათავე გააძლიერა, გზაშიც წვიმის ნაკადები შეუერთდნენ. ნაკადული კიდევ უფრო გაიზარდა, მომძლავრდა და ახლა უკვე პატარა ღელედ იქცა.

– გზა მომეცით, გზა! ხომ ხედავთ, რომ მოვდივარ! – თავმომწონედ გაიძახოდა და ქვებს მძლავრად ეხეთქებოდა.

მოულოდნელად კლდის ნაპირას აღმოჩნდა. გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ დიდი სიმაღლიდან გადაეშვა.

– ااااااااا... – კლდეებში გაიბნა ნაკადულის ხმა. სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, რომ მთელი ძალით ძირს დაენარცხა, შხეფები შორს გაისროლა და გზა განაგრძო.

– რა კარგი იყო! – მოეწონა ნაკადულს, რომელიც ახლა უკვე კლდიდან პატარა ჩანჩქერად ეშვებოდა. უფრო ხალისიანად აჩხრიალდა და ისევ გზა განაგრძო.

თანდათან სიამაყით ივსებოდა, თავმომწონედ მიარღვევდა ფერდობს, კალაპოტს იკეთებდა და იზრდებოდა.

გათენდა. მზემ ისევ ააბრჭყვიალა ნაკადული. მოულოდნელად მელა მიცუნცულდა მის ნაპირთან, დაეწაფა და წყალი მოსვა, მერე კი თათებით სახე მოიბანა.

– ნუ ჩაყავი შენი ცხვირი და ნუ ამამღვრიე! – დაუტია ნაკადულმა მელას, შხეფები სახეზე შეაყარა და გზა განაგრძო.

ახლა ჭინჭრაქა დასკუპდა ნაკადულთან, მერე მეორეც მოფრინდა – ფრთები დაისველეს.

– მოშორდით, რას შემომესიეთ! – ნაკადულმა ჭინჭრაქებიც დააფრთხო და უფრო მძლავრად შეარხია მხრები.

ყვავილებს ზედაც აღარ შეხედა, ლამის გადაქელა მძლავრი ნაკადით და თანდათან უფრო გაივაკა.

– მე ნაკადული ვარ, მძლავრი ნაკადული! უფრო გავიზრდები და მთელ ქვეყანას მოვივლი! – ხმამაღლა გასძახოდა მის ნაპირთან აბიბინებულ ყვავილებს, რომლებიც შემკრთალები ერთმანეთს ეხუტებოდნენ.

უცებ ნაკადულს რაღაც უცხო ხმა მოესმა – თითქოს ვიღაც დუდუნებდა.

– უნდა გავიგო, რა არის, – თქვა და გზიდან გადაუხვია.

ხმა გაძლიერდა, თანდათან უფრო მკვეთრად მოესმა თავისი ჩხრიალის მსგავსი, მაგრამ უფრო მძლავრი და მდორე ხმა. მკვეთრად მოუხვია, სიჩქარეში თავი ვეღარ შეიკავა და, ვიდრე გონს მოვიდოდა, დიდი მდინარის ტალღებში ამოყო თავი.

– ეე!.. ეეეე!.. აქ რა მინდა... გამიშვით... აქ სად ვარ... – აყვირდა ნაკადული, მაგრამ მდინარის ტალღებმა ღრმად ჩააყურყუმელავეს, დაატრიალეს და საკუთარ ტალღებს შეურიეს.

ასე დაკარგა გაამაყებულმა ნაკადულმა თავი და მთის ნაკადულიდან ერთი დიდი მდინარის ჩვეულებრივ შენაკადად იქცა.

მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე



მოამზადა ალეკო გაბელაიამ

დიდი ადამიანები გონებამახვილობენ

შეცდომური კითხვა-პასუხი

როდესაც დიდი მწერლის, ჰიუგოს ახალი რომანი გამოვიდა, მწერალი დაინტერესდა, როგორ იყიდებოდა მისი წიგნები. ამის გასარკვევად მან გამომცემელს წერილი გაუგზავნა, რომელშიც მხოლოდ ეს ერთი ნიშანი ეწერა: – „?“

გამომცემლის პასუხიც ასეთივე ლაკონური აღმოჩნდა, – „!“

ნუ გიკვირთ, ყმაწვილებო, სათქმელს თურმე გრამატიკული ნიშნებიც მშვენივრად გადმოგვცემენ!



დიდებული შეფასება

მსოფლიოში ცნობილი „ბუნების ისტორიის“ ავტორმა, ბიუფონმა ერთხელ მწერალ რივაროლს ჰკითხა:

– რას ფიქრობთ ჩემი ვაჟის შესახებ?

რივაროლმა დაუფიქრებლად უპასუხა:

– ეს ყველაზე წარუმატებელი თავია თქვენი რომანისა.

წადი ძალიან და წერეთ

ერთხელ ცნობილი ამერიკელი მწერალი, ლიუს სინკლერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ლექციის წასაკითხად მიიწვიეს. ლექციის თემა იყო: როგორ გავხდეთ ლიტერატორი. მწერალმა ლექცია პირდაპირ შეკითხვით დაიწყო:

– რამდენი სტუდენტია აქ ისეთი, ვისაც ნამდვილად სურს, მწერალი გახდეს?

აუდიტორიაში ხელების ტყე აღიმართა.

სინკლერმა დარბაზს თვალი მოავლო, სალექციო შენიშვნები დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და თქვა:

– თუ ასეა, მაშინ ჩემი პასუხი ასეთია: წაბრძანდით სახლში და წერეთ!

ამ სიტყვებით მწერალმა დარბაზი დატოვა.

მხატვარი
ნატალია კუცია



საიტი + მათემატიკა

ამ ჯადოსნური კვადრატიდან ციფრები გადმოცვივდა. დააბრუნე ისინი თავ-თავიანთ ადგილას ისე, რომ მათი ჯამი ვერტიკალურ, დიაგონალურ და ჰორიზონტალურ ხაზებში 15-ის ტოლი იყოს!

მისაწვევი

დაპატიჟეს კუ ქორწილში:
უფრო ადრე, ვიდრე სხვები,
დასცინიან ბაჭიები:
– ნელი ხარ და ვერც კი ხვდები.
ზეგ ქორწილი გაჩაღდება –
ჩვენ დედოფლის კაბაც ვნახეთ,
შენც რომ ცოტა სწრაფი იყო,
ნეფის ეტლში ჩაგაბამდნენ.

კუ წყნარია, ელიმება,
ნელა იცვამს, არჩევს ფერებს,
– მე დღეს წავალ და ყველაფერს
დინჯად დავათვალიერებ.
თან დღეისთვის დამპატიჟეს –
კუ ყოველთვის ნელა დადის,
დღეს იმიტომ მიმიწვიეს,
ჩემს სიდინჯეს სცემენ პატივს.

კუმ ქორწილში მისვლამდე ჯერ საჩუქარი უნდა აარჩიოს. დაეხმარე, რომ სწორ გზას დაადგეს და სტუმრად მანამდე მივიდეს, ვიდრე ტორტის დაჭრას დაიწყებენ.



მხიარული ლექსები

მაია კარსელი

ბაყაყური

გაამაყდნენ ბაყაყები:
– ჩვენ გვბაძავსო ზურა:
ყოველ დილით მდინარეში
ბაყაყურით ცურავს!

გვირილა

გიგამ თეთრი გვირილა
დაინახა ბალახში:
– პაწაწინა ყვავილო,
ჩემთან გინდა თამაში?

ბალს კურკა აქვს

ერთხელ ბალი კურკიანად
ჩაეყლაპა ციცქნა ტატოს...
მერე ბებო დაარიგა:
– ბალს კურკა აქვს,
არ ჩაყლაპო!

დევიკი

მამა ყირაზე დამდგარა,
ბებო ცეკვავს და ბზრიალებს,
დედა კომოდზე ამძვრალა,
პაპა გაზეთს აფრიალებს:
კოვზით დასდევენ დევიკოს –
ჭამაზე მუდამ ომია...
ამდენ კაკაოს ვინ დაცლის?
რა მთისოდენა ღომია?
ეს ცეროდენა ბიჭუნა
მართლა დევი თუ ჰგონიათ?

თაგუნა

ნინო მზესელი

თავისი გონიერებით ტრაბახი ბევრს უყვარს. ამ ბევრში ერთი თაგუნაც ერია – თათში რაღაც ფურცელს მოიმარჯვებდა და ბრძნულ გამომეტყველებას მიიღებდა. მართალია, ფურცელი ხან წაღმა ეკავა, ხან უკუღმა, ხან კი, საერთოდ, გვერდულად, მაგრამ სხვა თაგვებისთვის ამას სულაც არ ჰქონდა მნიშვნელობა, მაინც ვერაფერს ხვდებოდნენ.

ჭკუისკოლოფა თაგუნას ამბავი მალე ერთ ჭრელ კატამდეც მივიდა. იფიქრა – ეტყობა, კაი ბრიყვი ვინმე უნდა იყოსო და მაშინვე მის წინ დახტა.

– უი, კატა? – შეცბა ჭკუისკოლოფა თაგუნა.

– სწორია, გამოიცანი, – გაუღიმა კატამ. თათში კალამი მოიმარჯვა და ფურცელზე დახატულ ბადეში სიტყვა „კატა“ ჩაწერა.

– ახლა ის მითხარი, რა ფერის ბეწვი მაქვს, – ისევ ღიმილით გახედა თაგუნას.

– ჭრელი! – უკვე ნაკლებ შიშობდა თაგუნა, თან ერთი სული ჰქონდა, გაეგო, მეორე სიტყვაც გამოიცნო თუ არა.

– ყოჩაღ! – წამოიძახა აღფრთოვანებულმა კატამ და ამ სიტყვასაც თავისი ადგილი მიუჩინა.

– აუ, რა მაგარი რამეა. მაგ გასართობს რა ჰქვია? – უკვე საკმაოზე მეტად შეთამამდა თაგუნა.

– რა და თაგუნვორდი! – ულვაშები შეისწორა კატამ.

– ეგ რაღაა? – დაიბნა თაგუნა, ჭკუისკოლოფა ვარ და, ჩემი სირცხვილი, აქამდე თუ არ ვიცოდიო.

– და ეს რა არის: გეტყობა, შენ არც ღიმილთაგუნვორდი და ხითხითთაგუნვორდი გინახავს, თორემ მთლად გადაირეოდი სიხარულისგან.

– ისინიც მაჩვენე, რა! – კარგი მეგობარივით თვალებში შესციცინებდა თაგუნა.

– აბა, რას ვიზამ. შენნაირი ჭკვიანი თაგვი ჯერ არ გამისინჯავს, – ნერწყვი გადაყლაპა კატამ, თაგუნას თათი გაუწოდა და თავით ანიშნა წამომყევიო.

სრულიად შემთხვევით, თაგუნას ბედად, იქვე კაკლით დატვირთულმა თაგუმ გაირბინა. თათჩაკიდებული კატა-თაგვი რომ დაინახა, ელდა ეცა. კაკლები სულ ძირს დაეფანტა, მაგრამ ამაზე აღარც ფიქრობდა, მაშინვე თაგუნასთან მიირბინა, ერთი ისეთი შეჰკივლა: მოდი, ერთად გავიქცეთო, რომ მეგობარი ლამის დააყრუა. – ეი, ჩერჩეტ, გამიშვი – ამრეზით გახედა უკმაყოფილო თაგუნამ. – შენ, აბა, ასეთი რამეებისა რა გაგეგება, კაკალს რა ჰქვია, ისიც არ იცი.

– კაკალი! – ნიშნისმოგებით მიაძახა თაგუმ და თავისკენ



ოვდი

მხატვარი
ნატალია კუცია

მოქაჩა, – შეეშვი მაგ სისულელეს და ჩემთან ერთად წამოდიო.

თაგუნა მართლა გაბრაზდა.

– ეჰ, შე საბრალო, მაგ შენი ვაი-ჭკუით თავს დაიღუპავ, – ამოიოხრა თაგუმ, როგორც იქნა, წამოდგა და თავის გაფანტულ კაკლებს დაუწყო ძებნა.

– კატა კი არა, ნამდვილი ჭკუის საბადო ხარ! – აღფრთოვანებული თაგუნა თვალდაჭყეტილი ათვალიერებდა ახალი მეგობრის ბუნაგს, სადაც ყველა კედელზე რაღაც ნაჯღაბნი ფურცლები ეკიდა.

– აი, რომ შეგპირდი, ღიმილთაგუნვორდი, – კატამ თათი სამზარეულოსკენ გაიშვირა.

– კი, კი, მაინტერესებს, – წამოიძახა თაგუნამ და დაუფიქრებლად შევარდა სამზარეულოში.

– უი, ეს რა მომივიდა! – თავში თათები წაიშინა კატამ და ატირდა, თან ცალი თვალით თაგუნას გახედა – თუ დაიჯერა ჩემი ოინიო.

– რა მოხდა? – მართლაც შეშფოთდა ბრიყვი თაგუნა.

– შეპირებული ღიმილთაგუნვორდი ზედა თაროდან ჩამოვიღე, თათი დამიცდა და პირდაპირ ქვაბში არ ჩამივარდა?! როგორ ამოვიღო, მე ხომ წყლის მეშინია! – ტირილს უმატა კატამ.

– მე არ მეშინია! – წამოიძახა თაგუნამ და პირდაპირ ქვაბში ისკუპა, მაგრამ ვერაფერიც ვერ იპოვა. მარტო ის შეატყო, რომ რატომღაც წყალი თანდათან უფრო და უფრო ცხელდებოდა.

– რა ხდება, რატომ ცხელდება წყალი?! – ამოსძახა ჯერ კიდევ ქვაბის ფსკერზე ღიმილთაგუნვორდის მაძებარმა თაგუნამ.

– ეგ, ალბათ, თაგუნთერმული წყალია, – მიაკნავლა კატამ, თან შიშობდა მთლად ასეთი ბრიყვიც არ იქნება, სიმართლეს მიხვდებაო, მაგრამ თაგუნა ბრიყვზე უბრიყვესი აღმოჩნდა – ვერაფერს მიხვდა, ვიდრე წყალი ძალიან არ გაცხელდა. მაშინ კი იკადრა კუდდაფუფქულმა ამოხტომა.

მხოლოდ სამზარეულოში მოფუსფუსე კატისა და საფირმო კერძის – თაგუნ-ჩახოხბილის რეცეპტის დანახვის შემდეგ გაუნათდა გონება, გამწარებული სწრაფად მიცუნცულდა ფანჯარასთან, ისკუპა და სამშვიდობოს ბეწვზე გააღწია.

– მეც კარგი ჩერჩეტი ვყოფილვარ. – ქვაბზე ხუფის დახურვა რამ დამავიწყაო! – ახლა კატა ბრაზობდა თავის თავზე,

ასე იყო თუ ისე, თაგუნას არგო გაკვეთილმა. იმ დღის შემდეგ პროფესორ კატასაც კი აღარ ენდობოდა.

ზანზარას და ჩოს თავგადასავალი

ჩო და ზანზარა სკოლაში მიდიან

ტექსტი ლელა ცუცქირიძისა
მხატვარი იულია ნიკოგოსოვა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

გვირგვინი

ერთმა ხელმწიფის ქალიშვილმა გათხოვება მოინდომა, ოღონდ თქვა, იმას გავყვები ცოლად, ვინც ლამაზი გვირგვინით შემამკობსო.

დანიშნულ დღეს მეფის სასახლეს იმდენი გვირგვინიანი სასიძო მიაწყდა, ვერ დაითვლიდით. დაბრძანდა მეფე ტახტზე, გვერდით თავისი ქალიშვილი მოისვა, ირგვლივ დიდებულები ჩამორიგდნენ და დაიწყო გვირგვინების ნაკადულმა დენა.

სასიძოებს წინ გამოწვდილი ხელებით მოჰქონდათ ოქროთი, ვერცხლით, ბრილიანტითა და მარგალიტით შემკული გვირგვინები. თითოეული ისეთი ძვირფასი იყო, ერთ ქალაქს იყიდდა კაცი. ვერც სასიძოებს დაიწუნებდა ვინმე, მაგრამ ქალიშვილი დუმდა. ვერც ერთი გვირგვინის სიძვირფასემ და სილამაზემ ვერ მოჰგვარა სიამოვნების ღიმი. იმედგაცრუებული სასიძოები გულდაწყვეტილნი ტოვებდნენ სასახლეს.

ამ დროს სასახლის კართან ჩოჩქოლი ატყდა:

– გამიშვით, ბედს მეც ვცდიო, – დაიძახა ვიღაცამ.

ხმამ მეფის ყურამდე მიაღწია – და –

– მანდ რა ამბავიაო?! – იკითხა.

– ვიღაც გლეხის ბიჭია, – მოახსენეს მეფეს. იმისთანა გვირგვინი მოუტანია, კაპიკია მისი ფასი!

– დღეს ყველას აქვს უფლება, თავისი გვირგვინით ჩემს ქალიშვილს თავი მოაწონოს. გამოუშვით! – ბრძანა მეფემ.

სასახლეში, მართლაც, გლეხის ბიჭი შემოვიდა; მზემოკიდებულს, წინ გამოწვდილ დიდრონ, ღონიერ ხელებში მწიფე თავთავებით დაწნული გვირგვინი ეჭირა. გვირგვინს რამდენიმე ღერი ცისფერთვალა ყვავილი ამშვენებდა. ბიჭი ქალიშვილის წინ შედგა, თავი მდაბლად დაუკრა, თავთავების გვირგვინი გაუწოდა და უთხრა:

მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

– ამ თავთავებში, მეფის ასულო, მიმალულია ის, რაც გვზრდის, გვალამაზებს, გვამშვენებს, ძალას გვაძლევს და სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს – პურზე ძვირფასსა და ლამაზს ამქვეყნად სხვაა ვერაფერს ვხედავ. ეს გვირგვინიც ჩემს პურის ყანაში მომკილი თავთავებით დავწანი, რომ შენთვის მომერთმია!

– უკეთესი საჩუქარი არც მინდაო, – ბრძანა მეფის ქალიშვილმა, გვირგვინი ჩამოართვა, თავზე დაიდგა და ღიმილიანი სახით ჭაბუკს გვერდში ამოუდგა.

– განა მე კი სხვა სასიძოს ვინატრებდიო? – გაიხარა მეფემ. ორივე გადაკოცნა და ბრძანა, საქორწილო სუფრა გაეშალათ.

ერთი შეხედვით, შეიძლება გეგონოს, რომ ამ ორ გვერდზე ერთნაირი გვირგვინები დევს, მაგრამ თუ კარგად დააკვირდები, მცირე დეტალებით ყველა განსხვავდება, გარდა ერთისა. იპოვე ორი ერთნაირი გვირგვინი.

ახალი სახელები საბავშვო მწერლობაში

კობა ჭუმბურიძე

***

ეს ღუნღულა ღრუბელი,
მზეს რომ ეფოფინება,
ცოტა თუ გაიბუტა,
ცრემლად მოედინება.
მერე, თუკი ცხრათვალამ
შერიგება ინება,
ცისარტყელა ღიმილად
ზეცას მოეფინება.
დავაკვირდეთ ბუნებას
და ჩვენც გვეცოდინება –
მეგობრობას სჭირდება
ცოტა მოწადინება.

***

ეს პატარა დათვის ბელი
არის ისე საყვარელი,
მოფერება მინდა, მაგრამ
ბრჭყალები აქვს დასაჭრელი,
ნუთუ ტყეში არვის ჰქონდა
დიდი ზომის მაკრატელი?

***

სპილომ გაასეირნა
პაწაწინა შვილუკა,
უღრანი ტყით შემკრთალი
ამოსძახებს სპილუკა:
რამოდენა ტყე არის –
ლიანები, პალმები,
ცხვირი ცხვირზე ჩამკიდე,
თორემ დაგეკარგები.

მხატვარი
როენა შელეგია

***

გოჭი დადის სკოლაში,
თამაშის დრო როდი აქვს:
ასწავლიან ჭყვიტინს და
ტლაპოებში კოტრიალს.

მარიამ ონიანი, 6 წლის

წერილი "დილას"

ქალბატონო დოდო!

მართალია, ჩვენი უფროსი თაობები ჟურნალ „დილის“ კითხვით აღიზარდნენ, მაგრამ მე დღეს პირველად ავიღე ეს ჟურნალი ხელში და მოგახსენებთ ჩემს პირველ შთაბეჭდილებას: პატარამ და დიდმაც აუცილებლად უნდა წაიკითხოს ჟურნალი „დილა“ და თვითონაც მიხვდება იმას, რომ ყველა ბავშვს გასაჭირში უნდა დაეხმაროს და სიყვარული აგრძნობინოს.

მარიამ ნოზაძე, 12 წლის

ქ. ლანჩხუთის სოციალურად დაუცველი ბავშვთა სარეაბილიტაციო დღის ცენტრი „იავნანას“ ბენეფიციარი

გამოიწერეთ ჟურნალი „დილა“



ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოს:

www.elva.ge

ტელ: 2 38 26 73;
2 38 26 74;

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ: საცალო გასაყიდი ფასია 2.50 ლარი; სამი თვით – 7.50 ლარი, ექვსი თვით – 15 ლარი, ერთი წლით – 30 ლარი.

ISSN 0132-5965

მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე
ნახატი ყდაზე: ლაშა სულაკაურისა
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
http://www.dila.ge, ელ–ფოსტა: **dila1904@yahoo.com,** facebook: **საბავშვო გამომცემლობა დილა**
ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

მწერალთა
სახლი